24/09/2025

სინას ახალარჩეული მთავარეპისკოპოსი სიმეონი საბერძნეთის მთავარეპისკოპოს იერონიმეს შეხვდა

სინას, ფარანისა და რაითის არჩეული მთავარეპისკოპოსი და წმინდა ეკატერინეს ისტორიული მონასტრის წინამძღვარი სიმეონი დღეს შუადღით ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოს იერონიმეს შეხვდა.

მთავარეპისკოპოსი იერონიმე ახალარჩეულ მთავარეპისკოპოსს თბილად მიესალმა და უსურვა, რომ ყველა სირთულე მალე დაიძლიოს. მთავარეპისკოპოსმა სიმეონმა მადლობა გადაუხადა მთავარეპისკოპოს იერონიმეს და მისი სახით, სრულიად საბერძნეთის ეკლესიას, მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

შეხვედრის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ განაცხადა: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვნახე სინას ისტორიული მონასტრის ახალარჩეული მწყემსმთავარი, გამორჩეული ძმა და თანამეგზური“. მან აღნიშნა, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცვალათ მოსაზრებები ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ და უსურვა, რომ „ჰქონოდა ძალა და მოთმინება, რათა შექმნას ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც ყველას გვსურს სინას მონასტერში და წარმატება უსურვა მას მისიონერულ საქმიანობაში“.

თავის მხრივ, მთავარეპისკოპოსმა სიმეონმა გულთბილი მადლობა გადაუხადა უნეტარესსა და საბერძნეთის ეკლესიას სინას საძმოს მხარდაჭერისთვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მთავარეპისკოპოსისა და საბერძნეთის ეკლესიის სახით ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ ძლიერ მხარდამჭერს, როგორც სულიერად, ისე მატერიალურად, თუ ამის საჭიროება იქნება“ და ხაზი გაუსვა, რომ „მთელი ბოლო კრიზისის განმავლობაში საბერძნეთის ეკლესიამ ჩვენ მიმართ ყველაზე გულწრფელი თანადგომა გამოიჩინა“.

სინას ახალმა მთავარეპისკოპოსმა აღნიშნა, რომ მთავარეპისკოპოსის, მღვდელმთავრების, სასულიერო პირებისა და საბერძნეთის ეკლესიის მორწმუნეთა ლოცვა და მხარდაჭერა „გვანიჭებს იმედსა და რწმენას, რომ ღმერთი არ დაუშვებს მონასტერში არეულობას ან საძმოსთვის სირთულეების შექმნას“.

sazu.ge

https://sazu.ge/posts/post/2348